

აკადემიური მეცნიერების როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში¹

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების პროცესი, კლასიკური გაგებით, უნდა დაეფუძნოს მეცნიერებას, მეცნიერულ ანალიზს. მშვიდობისა და განვითარების მკვლევრებმა, რომელთა ანალიზის საფუძველზე სამშვიდობო პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს, მუდმივად უნდა გამოაქვეყნონ განახლებული კვლევები, რათა ხელისუფლების მიერ მიღებულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, არა მარტო ისტორიული რეალობა ასახოს, არამედ პოზიტიური გავლენა მოახდინოს სამშვიდობო პროცესებზე.

წინამდებარე ნაშრომში საქართველოს ენობრივი და სამშვიდობო პოლიტიკის ურთიერთკავშირის მიმოხილვის მცდელობას წარმოადგენს. კერძოდ, ნაშრომში განხილულია საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესთა წიადში ჩამოყალიბებული ენობრივ-პოლიტიკური დამოკიდებულებები და მიდგომები 1990-იანი წლებიდან დღემდე.

საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის შექმნილი სამშვიდობო პროცესების ანალიზისას, ნათლად იკვეთება ენობრივი და ტერმინოლოგიური პრობლემა. ტერმინოლოგიური ხარვეზები საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებშიც აისახა და, ამით, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზაზე, კიდევ ერთი დამატებითი წინააღობა შექმნა.

ენობრივი პოლიტიკის დადებით და უარყოფით შედეგებზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. მკვლევრები მიუთითებენ ენობრივი საკითხისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის როლზე ეთნიკონფლიქტებისა და სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტების გაღვივებაში. ენობრივი პოლიტიკისა და პოლიტიკის ენის გავლენა, სხვასთან ერთად, ტრაგიკული შედეგებით აისახა საქართველოს უახლესი ისტორიის 90-იან წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მეცნიერულ შეფასებით ნაშრომებში ეს საკითხი მრავალჯერ დაისვა, სამშვიდობო პროცესთა შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა და სახელმწიფო მიდგომა, სათანადოდ ვერ ჩამოყალიბდა. კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მიმართულების შესატყვისი ენობრივი პოლიტიკის არარსებობა და ტერმინოლოგიური ბუნდოვანება კონფლიქტით გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანების ერთ-ერთ ბარიერად იქცა. აღნიშნული პრობლემა იმგვარი სირთულე აღმოჩნდა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაც კი ვერ მოაგვარებს: სუსტი ენობრივი პოლიტიკის შემთხვევაში, რომლის ნიშანი ტერმინოლოგიური დაუზუსტებლობაა, მოსალოდნელია „ძლიერი“

¹ ციხისთავი-ხუციშვილი, ნ. (2020). აკადემიური მეცნიერების როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, 40, 107-114.

სახელმწიფოების მხრიდან „სუსტი“ სახელმწიფოებით მანიპულირება (ტაბიძე, 2002).

გასული 30 წლის მანძილზე, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე გავლენის მოქედენის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესთა ტერმინოლოგიის დაზუსტების (ციხისთავი-ხუციშვილი, 2014), არაერთი მცდელობა ჰქონდა. ასე, მაგალითად, 1992-2007 წლებში, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში წარდგენილი იყო კონფლიქტების მოგვარების არაერთი კონცეფცია და შესაბამისი ტერმინოლოგიური განმარტებები, რათა საქართველოს ხელისუფლებას მიღებული რეკომენდაციები ენობრივ პოლიტიკაზე აესახა. არაერთი საგაზეთო სტატია მიუძღვნა ტერმინოლოგიის შეუსაბამობას, რომელიც ასე რიგად აბრკოლებდა მეცნიერულ, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ განვითარებას შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით.

ეროვნული საექსპერტო წრეების მიერ ხელისუფლებისათვის შეთავაზებული ტერმინოლოგია და განმარტებები ეფექტიანი სამშვიდობო პოლიტიკის ენისა და კონფლიქტების მოგვარების ენობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფდა; თუმცა, ხელისუფლების ინტერტულობამ ამ საკითხში იჩინა თავი და ეს პრობლემა, ათწლეულების შემდეგ, კვლავ სახეხეა. საქართველოს ხელისუფლების არაჯეროვანმა დამოკიდებულებამ ენობრივი პოლიტიკის მიმართ, ხელი შეუწყო ორაზროვანი და, ხშირად, ერთიმეორის გამომრიცხავი ტერმინების დაკანონებას, რაც, აისახა როგორც ქართულ, ისე, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტების ლანდშაფტში. ასე, მაგალითად, ერთდროულად გამოიყენება ტერმინები კონფლიქტი და ოკუპაცია, “კონფლიქტების მოგვარება” და “ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია” (იხ. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, 2008).

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონთან ერთად, ძალაშია “ჩართულობა თანამშრომლობის გზით” სახელმწიფო სტრატეგია. “ჩართულობის სტრატეგიის საქმოქმედო გეგმა” (2010), რომლის საფუძველზე ამუშავდა მნიშვნელოვანი რეფერალური პროგრამა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების ნდობის აღდგენის მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში “ოკუპაციის” და “ოკუპირებული ტერიტორიების” ნაცვლად მოტანილია “კონფლიქტი” და “კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა”².

2018 წელს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის სამოქმედო დოკუმენტები - “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ” და “ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ”, გამოქვეყნდა. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ “საქართველოს მთავრობა ახორციელებს კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან, თანმიმდევრულ, პრაგმატულ და პრინციპულ პოლიტიკას”³. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები სიდრმისეულად

² საკანონმდებლო მაცნე, 2010. საქართველოს მთავრობის განკარგულება №885, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2260235?publication=0>

³ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ოფიციალური ვებგვერდი <https://smr.gov.ge/ge/page/40/nabiji-uketesi-momavlisken>

აანალიზებს კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებს და ახალ შესაძლებლობებს, არაფერია ნათქვამი ოკუპაცია-დეოკუპაციაზე.

ენობრივი პოლიტიკის ასეთი განსვლა და ტერმინოლოგიური ხარვეზი არა მარტო მეცნიერთა და მკვლევართა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამთავრობო წრეებს შორისაც იწვევს გაგუგებრობას. ასე, მაგალითად, გაერო-ს რეზოლუციებში კვლავ გამოიყენება ტერმინი “კონფლიქტები”, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს განაცხადი ტერიტორიების ოკუპაციაზე სარეთოდ არ არის აღნიშნული.⁴

ასეთი მდგომარეობა ზიანს აყენებს და აფერხებს ქმედითი სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრასა და მის განხორციელებას, იწვევს ორაზროვნებას, აბნევს მკვლევარს, სამეცნიერო წრეებს, რომელთაც უნდა უპასუხონ საზოგადოებრივ ინტერესს და წარმოადგინონ მეცნიერული შეფასებები. საქსპერტო წრეებში დღეისათვის სრულიად განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები არსებობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, საქართველოს მოუგვარებელი, გახანგრძლივებული/გაყინული კონფლიქტები, კონფლიქტის მხარეები, კონფლიქტების დაინტერესებული მხარეები და სხვა. საქართველოს სახელისუფლებო მიდგომით, საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ხოლო მოუგვარებელი კონფლიქტების ერა 2008 წელს დასრულდა: “...მანამდე არსებული "გაყინული კონფლიქტი" 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ და ოკუპაციამ ჩაანაცვლა”⁵. ასეთი მიდგომები გაღიზიანებას იწვევს აფხაზებში და ოსებში, რომელთა აზრით, კონფლიქტი ისევ მოუგვარებელია და გაყინული.

აღნიშნული ფუნდამენტური საკითხების დაზუსტების გარეშე რთულია, ვისაუბროთ სამშვიდობო პოლიტიკის მდგრადობასა და ეფექტიანობაზე. მაგალითად, 2001 წელს დრაჟენ პეჰარმა (Pehar, 2001) გამოავლინა შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების ენობრივი გაგების ორაზროვნების პრობლემა და კლასიკური ენობრივი ტიპოლოგიის ანალოგიით ისინი გამოხატვის, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციით განიხილა. აღნიშნულმა კვლევამ სიცხადე შეიტანა სამშვიდობო ხელშეკრულებათა და სამშვიდობო პოლიტიკის შესრულება-შეუსრულებლობის შეფასებებში.

განმარტებებისა და ტერმინოლოგიური პრობლემის შესახებ ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა ალექსანდრე რუსეცკიმ (რუსეცკი, დოროხინა, 2009), რომელმაც კონფლიქტის მოგვარების წინაპირობად დააყენა ტერმინოლოგიური სიცხადის აუცილებლობა. ნაშრომში ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყოველ და ნებისმიერ ქმედებას, მშვიდობის აღდგენის მიმართულებით, სანამ ყველასთვის არ გაირკვევა, თუ „რომელ კონფლიქტზეა საუბარი“.

⁴ Cf. UN SC Resolution 1808 (2008)

<https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Georgia%20SRES1808.pdf>

Cf. UN SC Resolution 1866 (2009)

<http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Georgia%20SRES1866.pdf>

⁵ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, შიდა ქართლი, 2020. ოკუპირებული ტერიტორიები. ბოლოს ნანახია, 5 ოქტომბერი, 2020

<http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47>

გიორგი ხუციშვილის (ხუციშვილი, 2005) შეფასებით, დასახელებები „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“ და „ქართულ-ოსური კონფლიქტი“ არაკორექტულია, ვინაიდან სწორად არ ასახავს არცარსებული კონფლიქტის ბუნებას და არც მასში მონაწილე მხარეებს. ავტორი ასევე არაკორექტულად მიიჩნევს ტერმინს, „კონფლიქტი აფხაზეთში“, რადგან მას მდგომარეობა დაჰყავს ავტონომიის შიგნით არსებულ დაპირისპირებამდე და იგნორირებას უკეთებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ადგილის საკითხს, რაც გამორიცხავს საქართველოს სახელმწიფოს, როგორც ქართულ მხარეს. ხუციშვილის მიხედვით, “უფრო სწორია დასახელება „აფხაზეთის კონფლიქტი“, რაც პრაქტიკულად იმავეს ნიშნავს, რასაც „აფხაზეთის პრობლემა“ (ობიექტის იდენტიფიკაციას ახდენს კონფლიქტის ზონის ყველასათვის მისაღები სახელით) და, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მართებულია”.

საქართველოს პარლამენტმა, თავისი 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებით განსაზღვრა საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების სუბიექტები, მხარეები, და გაერო აფხაზეთში კონფლიქტის შუამავალად გამოაცხადა. ეს დოკუმენტი, დღეისათვის, არა მარტო მოძველებული, არამედ, ძალადაკარგულიცაა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეცვლილმა საერთაშორისო მიდგომამ (6-პუნქტიანი შეთანხმება) (The European Union, 2009) გააუქმა ყველა მანამდე არსებული ოფიციალური შეთანხმება, დოკუმენტი და სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმატი. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტს, შესაბამისი განახლებული დოკუმენტი ჯერ კიდევ არ შეუქმნია ახალ მიდგომებსა და ტერმინებს. უპირაინა, საქართველოს პარლამენტს ხელახლა განესაზღვრა კონფლიქტის სუბიექტები, საქართველოს კონფლიქტების მხარეები, დაინტერესებული მხარეები, შუამავლები, და სხვ., რაც, თავისთავად არ გამორიცხავდა აგრესორი სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორია.

სახელმწიფოს მიერ მკაფიოდ დადგენილი ტერმინოლოგიისა და განმარტებების გარეშე, რთულია, ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტების ენის ჰომოგენურობაზე საუბარი. ეს მდგომარეობა საქართველოს სამშვიდობო, ოფიციალურ მოლაპარაკებებზეც აისახება. ერთი მხრივ, არაერთი სამთავრობო დოკუმენტი ისევ ასახავს დასახელებათა ბუნდოვან, დამაბნეველ და ორაზროვან მიდგომებს (მაგ.: „სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი/სამაჩაბლო“ და სხვ.). რაც შეეხება ოფიციალურ მოლაპარაკებებს, რუსეთი ისევ მონაწილეობს (ვენევის საერთაშორისო დისკუსიები/Geneva International Discussions (GID)), თუმცა მონაწილეობს, როგორც შუამავალი, რადგან მოლაპარაკებათა სადამფუძნებლო დოკუმენტს⁶ რუსეთი ხელს მდიატორის როლში აწერს; საქართველო კი რუსეთს კონფლიქტის მხარედ განიხილავს.

ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიშში, სხვასთან ერთად, მოტანილია რუსეთის პოზიცია საქართველოს პოზიციის წინააღმდეგ, სადაც საუბარია რუსეთის როლზე 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს. რუსეთმა თავის საომარ ქმედებას საქართველოში "მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია" უწოდა, მაშინ, როდესაც საქართველო ამას „აგრესიად“ აფასებს (IIFMCG Report, 2009).

⁶ მედვედევ-სარკოზი-სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმება, 2008
http://www.iccn.ge/index.php?article_id=301&clang=0

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების თითქმის 30-წლიან ისტორიაში, ასეთი ტერმინოლოგიური წინააღმდეგობა, დაპირისპირება, საქართველოსა და რუსეთს შორის, ახალი არ არის. ეს დაპირისპირება, განსაკუთრებით, ვლინდება საქართველოს სამშვიდობო პროცესებში, როდესაც რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდასთან სხდებიან.

მიუხედავად გამოკვეთილი საჭიროებისა, ემსჯელათ და ერთობლივად მიეღოთ ტერმინოლოგიური განმარტებები საქართველოს კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით, მაინც ვერ შედგა დიალოგი ხელისუფლებასა და სამეცნიერო წრეებს, სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის.

სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ინსტიტუციონალური მიდგომების მრავალფეროვნების მიუხედავად, ენის სახელმწიფო პალატამ (1997-2004 წწ.)⁷ ვერ მოახდინა იმ პერიოდის საჭიროებებზე რეაგირება და ვერ გარდაქმნა პოლიტიკის ენა სამშვიდობო პოლიტიკის ენაზე. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო პალატა, თავისი ფუნქციით, მაკონტროლებელი ორგანო იყო: მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდა ყველა (საჯარო და კერძო სამართლის) იურიდიულ პირზე; თავისი მანდატით, პალატა სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას ყველა უწყებაში აკონტროლებდა, თვალყურს ადევნებდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას და იცავდა სხვაენოვან მოქალაქეთა ენობრივ ინტერესებს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

2004 წელს ენის პალატის ლიკვიდაცია გამოცხადდა (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №498 2004). ენის სახელმწიფო პალატის ლიკვიდაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის დადგენილებამ №37 (2004 წელი, 21 მაისი) ენის პალატა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემას დაუქვემდებარა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებათა ჩამონათვალში შეიტანა. ამ ცვლილებით, ენის პალატის რანგი და უფლებამოსილება შემცირდა. ის ერთი სახელმწიფო უწყების სფეროში მოექცა და, შედეგად, პალატის მიერ გაცემული რეკომენდაციები სავალდებულო ძალის არმქონე გახდა.

ბოლო წლების განმავლობაში ერთგვარი წინსვლა შეინიშნება ენობრივი პოლიტიკის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. საქართველოს ხელისუფლებამ მაღალი რანგი აღუდგინა სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ინსტიტუციას. ენის სახელმწიფო პალატის ლიკვიდაციიდან თითქმის 14 წლის შემდეგ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, 2017) საქართველოს მთავრობის დადგენილება №540-ის (2017 წელი, 11 დეკემბერი) შესაბამისად შეიქმნა. ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (საკანონმდებლო მაცნე, 2015) მიღება. კანონმა, სხვასთან ერთად, მოაწესრიგა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის საკითხი. ამასთან, კანონმა განსაზღვრა დეპარტამენტის მიერ ტერმინთა დადგენისა და დამკვიდრების უზრუნველყოფი ფუნქცია სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განხორციელების გზაზე. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. ენის

⁷ ენის სახელმწიფო პალატა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №216, 1997. საკანონმდებლო მაცნე.

დეპარტამენტთან ფუნქციონირებს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია, რომელიც ადგენს სალიტერატურო ენის ნორმებსა და ტერმინოლოგიურ სტანდარტებს. კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

მიუხედავად ბოლოდროინდელი მცდელობისა, ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობით აღჭურვილი ინსტიტუციური ერთეული შეიქმნას, კონფლიქტებისა და მშვიდობის მიმართებით ენობრივი პოლიტიკისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის შემუშავება-განსაზღვრის საქმე ისევ აგვიანებს. კონფლიქტებისა და მშვიდობის შესატყვისი და მგრძობიარე ენობრივი პოლიტიკის უქონლობა აფერხებს სამშვიდობო პოლიტიკას, სამშვიდობო პოლიტიკის არსებობა კი ეროვნული და ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვაკუთხედაა.

მნიშვნელოვანია, შეიქმნას კონფლიქტებისა და მშვიდობის დარგში ტერმინთა დამდგენი შერეული კომისია, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობას სფეროში მოღვაწე მეცნიერთა და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტები მიიღებენ. ამ მიდგომით, არა მარტო ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრა დაიწყება, არამედ, შეიარაღებული კონფლიქტების თითქმის 30-წლიანი ისტორიის განმავლობაში, პირველად შედგება დიალოგი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის სამშვიდობო პროცესისთვის ხელშემწყობი დამხმარე ინსტრუმენტის – სამშვიდობო ენობრივი პოლიტიკის შესამუშავებლად.

ლიტერატურა

Literature

Литература

1. საქართველოს პარლამენტი. (1996). საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ. თბილისი: საქართველოს პარლამენტი. მოძიებულია 7 ოქტომბერი, 2020 წელი
http://www.parliament.ge/files/613_8104_649477_17a.pdf
2. საკანონმდებლო მაცნე. (1997). საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №216 (1997 წლის 29 აპრილი). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე. მოძიებულია 4 ოქტომბერი, 2020 წელი
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1307893?publication=0>
3. საკანონმდებლო მაცნე. (2004). საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №498 (2004 წლის 8 ნოემბერი). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე. მოძიებულია 4 ნოემბერი, 2019 წელი
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/36448?publication=0>
4. საკანონმდებლო მაცნე. (2008). საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, საქართველოს პარლამენტი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8>
5. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება №88 5, 2010 წლის 3 ივლისი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2260235?publication=0>
6. სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. (2017). სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი. თბილისი: სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. მოძიებულია 4 ნოემბერი, 2019 წელი
<http://www.enadep.gov.ge/index.php?m=2>

7. საკანონმდებლო მაცნე. (2017). საქართველოს მთავრობის დადგენილება №540 (2017 წლის 11 დეკემბერი). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე. მოძიებულია 4 ნოემბერი, 2019 წელი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3894550?publication=0>
8. საკანონმდებლო მაცნე. (2015). საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. 22/07/2015. საკანონმდებლო მაცნე. მოძიებულია 4 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>
9. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. (2019). ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. თბილისი: სახელმწიფო მინისტრის ოფიციალური ვებგვერდი. მოძიებულია 4 ოქტომბერი, 2020 წელი <http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92>
10. ტაბიძე, მ. (2002). ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში. ქართველური მემკვიდრეობა, 2, 155-160.
11. ციხისთავი-ხუციშვილი, ნ. (რედ.). (2014). სამშვიდობო ხელშეკრულებების, სამშვიდობო ინიციატივებისა და კონცეფციების მონაცემთა ბაზა (GeoPeaceData). კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN). მოძიებულია 9 ოქტომბერი, 2020 წელი http://iccn.ge/index.php?article_id=300&clang=1
12. ხუციშვილი, გ. (2005). ტერმინოლოგიას ნუ გადავყვებით. წიგნში “როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები”, 2016. ტომი I. ნინო ციხისთავი-ხუციშვილი (რედ.). (გვ. 399.) თბილისი, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.
13. Русецкий, А., Дорохина, О. (Ред.). (2009). Псевдоконфликты и квазимиротворчество на Кавказе. Тбилиси: Грузинский национальный комитет Хельсинкской гражданской ассамблеи/Южно-Кавказский институт региональной безопасности.
14. The European Union. (2009). The Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG) (2008/901/CFSP). Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG). Retrieved on 5 October, 2020, from https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC_38263_08_Annexes_ENG.pdf

რეზიუმე

აკადემიური მეცნიერების როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

სტატიაში საუბარია აკადემიური მეცნიერების როლსა და მნიშვნელობაზე საქართველოს კონფლიქტების მოგვარებისა და ეფექტიან სამშვიდობო პოლიტიკაში. ავტორი წარმოაჩენს სახელმწიფო-სამეცნიერო კავშირის აუცილებლობასა და ასეთის სავალდებულოებას, რათა თავიდან ავიცილოთ არსებული კონფლიქტების გამწვავება და ან ახალი კრიზისული კერების წარმოშობა.

ნაშრომში ავტორს განხილული აქვს შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ შექმნილი კონფლიქტოლოგიური და პოლიტიკური ენობრივი და ტერმინოლოგიური ხარვეზები; აანალიზებს ამ პრობლემების დასაძლევ სახელისუფლო მიდგომებს. სტატიაში მოტანილია თანამედროვე მეცნიერული მიდგომები და ჩამოყალიბებულია მსჯელობა, რა უნდა გაკეთდეს

სახელმწიფოში სამშვიდობო პროცესებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ეფექტიანობისთვის ენობრივი პოლიტიკის კუთხით. ნაშრომი ღირებულია დარგის სპეციალისტებისა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკასა და საქართველოს სამშვიდობო პროცესთან.

SUMMARY

THE ROLE OF ACADEMIC SCIENCE IN GEORGIA'S CONFLICT RESOLUTION, PEACE AND SECURITY ISSUES

NINA TSIKHISTAVI-KHUTSISHVILI

The article discusses the role and place of academic science in Georgia's conflict resolution and effective peace policy. By reviewing examples the author highlights the need for such a state-scientific connection and its commitment to avoid escalation of existing conflicts and / or creating of a new crisis.

In the paper, the author discusses a terminology shortcomings related to peace and conflict occurred soon after armed conflicts and analyzes government approaches to overcoming this problem. The article presents modern scientific approaches and discusses steps to be taken for the effectiveness of Georgia's peace processes and conflicts resolution by peaceful means in the light of language and terminology policy. The paper is valuable for specialists in the field and government officials whose activities are directly related to the state language policy and the peace processes of Georgia.

РЕЗЮМЕ

РОЛЬ АКАДЕМИЧЕСКОЙ НАУКИ В УРЕГУЛИРОВАНИИ КОНФЛИКТОВ, ВОПРОСАХ МИРА И БЕЗОПАСНОСТИ ГРУЗИИ

НИНА ЦИХИСТАВИ-ХУЦИШВИЛИ

В статье обсуждается роль и место академической науки в урегулировании конфликтов и эффективной мирной политике Грузии. Рассматривая примеры, автор подчеркивает необходимость государственно-научной связи и ее стремление, избежать эскалации существующих конфликтов и / или создания нового кризиса.

В статье автор обсуждает терминологические недостатки, связанные с миротворчеством и пост-конфликтным периодом, возникшие вскоре после вооруженных конфликтов, и анализирует правительственные подходы к преодолению этих проблем. В статье

представлены современные научные подходы и обсуждаются шаги, которые необходимо предпринять для повышения эффективности мирных процессов в Грузии и разрешения конфликтов мирными средствами с учетом языковой и терминологической политики. Статья представляет ценность для специалистов в данной области и государственных служащих, деятельность которых напрямую связана с государственной языковой политикой и мирными процессами Грузии.